

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
1. ამონაგები	9
2. თვითღირებულება.....	9
3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
4. საგადასახადო აქტივი/ვალდებულებები	9
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	10
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	10
8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	10
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
10. პირობითი ვალდებულებები	11
11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება).....	12

შპს ჯეო ტექნიკსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	1	6,015,419	4,542,096
თვითღირებულება	2	-4,165,031	-3,144,602
საერთო მოგება		1,850,388	1,397,494
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(12,923)	(7,084)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(807,611)	(701,365)
საოპერაციო მოგება		1,029,854	689,045
ფინანსური ხარჯი		(196,902)	(70,873)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(57,615)	160,486
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		18,698	40,340
მთლიანი სრული შემოსავალი		794,035	818,998

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დვთისავარ ცუცქირიძე

შპს ჯეო ტექნიკსი


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	1	6,015,419	4,542,096
თვითღირებულება	2	-4,165,031	-3,144,602
საერთო მოგება		1,850,388	1,397,494
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(12,923)	(7,084)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(807,611)	(701,365)
საოპერაციო მოგება		1,029,854	689,045
ფინანსური ხარჯი		(196,902)	(70,873)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(57,615)	160,486
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		18,698	40,340
მთლიანი სრული შემოსავალი		794,035	818,998

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

 ღვთისაფარ ცუცქერიძე



შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		3,471,686	3,644,586
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
		3,471,686	3,644,586
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		293,796	51,881
საგადასახადო აქტივი	4	84,115	2,105
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,943,206	394,993
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	87,609	382,384
		2,408,726	831,363
სულ აქტივები		5,880,412	4,475,949
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,886,750	2,092,715
სულ კაპიტალი		2,886,750	2,092,715
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	647,969	789,373
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი		864,081	437,280
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1,481,612	1,156,581
სულ ვალდებულებები		2,993,662	2,383,234
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,880,412	4,475,949

შპს ჯეო ტექნიკსი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	-	1,273,717	1,273,717
მთლიანი სრული შემოსავალი	-	818,998	818,998
31 დეკემბერი 2022	-	2,092,715	2,092,715
მთლიანი სრული შემოსავალი	-	794,035	794,035
31 დეკემბერი 2023	-	2,886,750	2,886,750

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		-666,042	525,907
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		-280,755	-1,351,744
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობიდან:		666,952	1,071,504
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		-279,845	245,667
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		382,384	194,786
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		-14,930	-58,069
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		87,609	382,384

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეო ტექნიკსი (შემდგომში „კომპანია“, ს/ნ:402050490) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის ივნისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, შოთა ნადირაშვილის ქუჩა N22, 21ც კორპუსი ბინა 508.

2017-2019 წლებში "ჯეო ტექნიკსის" საქმიანობის სფერო 2 მიმართულებას მოიცავდა: სატრანსპორტო მომსახურება, მძიმე ტექნიკის გაქირავება.

2019 წლიდან კომპანიამ კიდევ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება დაიმატა: , ფართების გაქირავება, მსუბუქი ავტომობილებით მომსახურება. ხოლო 2022 წლიდან დაემატა მძიმე ტექნიკის გაქირავება/გაყიდვა.

კომპანიის გენერალური დირექტორია ღვთისავერ ცუცქერიძე. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ: ინვესტ გრუპი 80% და ღვთისავერ ცუცქერიძე 20%.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35- განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2019 წლის 1 იანვრამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება, კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი, რომელშიც წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგება დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლის განაკვეთის კორექტირება, ვარიაციები საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

1. ამონაგები

	2022	2023
ფართის იჯარა	799,183	732,498
ტექნიკით მომსახურება	875,628	1,514,021
სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება	2,747,212	2,253,874
სხვა შემოსავლები	75,120	56,347
შემოსავალი ტექნიკის გაყიდვებიდან	0	1,412,290
მეიჯარეებისგან მიღებული კომუნალური გადასახადი	44,949	46,389
	4,542,096	6,015,419

2. თვითღირებულება

	2022	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	398,490	451,245
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	546,764	590,419
მიწოდების ხარჯები	28,101	58,420
საწვავის ხარჯები	1,075,214	789,181
შრომის ანაზღაურება	617,194	726,616
სოციალური დანარიცხები	10,798	13,924
საიჯარო ქირა	276,876	259,012
კომუნალური ხარჯები	130,355	130,701
სადაზღვევო ხარჯები	60,153	78,054
სამეურნეო/სარემონტო ხარჯი	657	4,875
სხვა ხარჯები	0	6,780
გაყიდვების თვითღირებულება	0	1,055,804
	3,144,602	4,165,031

3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2023
ხელფასი	441,366	510,613
კომუნიკაციის ხარჯები	12,181	14,762
კომუნალური	6,511	5,797
დაზღვევა	4,091	5,351
სხვა	237,216	271,088
	701,365	807,611

4. საგადასახადო აქტივი/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო ანგარიშისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად, როგორც აქტივი 2,105 და 84,115 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	365,241	472,566
გადახდილი ავანსები	29,751	1,480,355
Allowance for doubtful debts	0	(9,715)
	394,993	1,943,206

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2023
ფული სალაროში	19,150	6,525
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	363,234	81,084
	382,384	87,609

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები*	(772,581)	(543,435)
სხვა ვალდებულებები	-6,195	-3,395
მიღებული ავანსები	(10,597)	(101,139)
	789,373	647,969

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2023
გრძელვადიანი სესხები	1,156,581	1,481,612
	1,156,581	1,481,612

შპს ჯეო ტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო წლისათვის

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომლებიც საჭიროებენ ასახვას ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში.

10. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	7
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
მანქანა-დანადგარები	2-7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში 'გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს მათზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯების ცალ-ცალკე იდენტიფიკაციის მეთოდს. კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები, შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც წარმოიქმნა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმო ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ზოგჯერ ამ მეთოდს უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს). მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა.

როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ საწარმო ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

სამშენებლო მომსახურებებიდან შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება. საწარმო სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგებს და ხარჯს, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, კომპანია მსჯელობს, რომ სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის, საიმედოდ შეფასება იყოს შესაძლებელი.

როდესაც ხელშეკრულება ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ კომპანია თითოეულ აქტივის მშენებლობას განიხილავს, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე აღებული სამშენებლო ხელშეკრულება, თუ:

- (ა) თითოეული აქტივის მშენებლობისთვის ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი პროექტები;
- (ბ) შესაძლებელია თითოეული აქტივის ცალკე ჩაბარება დამკვეთისათვის და მენარდეს და დამკვეთს შეუძლიათ შეთანხმდნენ, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც ცალკეულ აქტივს ეხება; და
- (გ) შესაძლებელია, თითოეული აქტივისათვის ცალკე განისაზღვროს დანახარჯები და ამონაგები

კომპანია ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადიას განსაზღვრავს პროპორციულობის მეთოდით, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები).

საწარმო აქტივად უნდა აღიარებს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, მაგალითად მასალებზე დანახარჯი, ან გადახდილი ავანსი, თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული დანახარჯი მთლიანად ანაზღაურდება.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს მოსალოდნელი ზარალის თანხას ხარჯის სახით და, ამავე დროს, ქმნის შესაბამის ანარიცხს წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს, როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:
- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც საწარმოს გარკვეულ ვალდებულებაზე გააჩნია სოლიდარული პასუხისმგებლობა, პირობით ვალდებულებად მიიჩნევა ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაიფარება სხვა მხარეების მიერ.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსით.